



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 95
08/10/2018

95-07-4-201810081517



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №95
2018 წლის 08 ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N84 განკარგულებაში და განკარგულების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართი N2 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“ ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N2-ის რედაქციით.

მუხლი 2. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N84 განკარგულებაში და განკარგულების მე-4 მუხლით დამტკიცებული დანართი N4 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N4-ის რედაქციით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან

ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	ავტომობილის მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ავტომობილის ფერი	ავტომობილის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	შენიშვნა
1	VAZ 2107	1999	მწვანე/8	სედანი	MAC002	
2	VAZ 21213	1998	მწვანე/8	მაღალი გამავლობის	EM770ME	

Handwritten signature

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა

№	ავტომობილის მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ავტომობილის ფერი	ავტომობილის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
1	VAZ 2107	1999	მწვანე/8	სედანი	MAC002	1200
2	VAZ 21213	1998	მწვანე/8	მაღალი გამავლობის	EM770ME	870

